

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის დოქტორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებს თუ სემინარს, ხოლო სავალდებულო კვლევითი კომპონენტები(120 კრედიტი) მოიცავს მინიმუმ 2 კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას (80 კრედიტი).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ისტორიის სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს ისტორიის სხვადასხვა სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევასა და დარგის ცალკეული დისციპლინის სწავლებას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, ასევე შეძლებენ კრიტიკულად გაანალიზონ, შეაფასონ და დაიცვან დაგროვილი იდეები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>დარგობრივი კომპეტენციები</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება: პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს ექნება ისტორიული მეცნიერებების, როგორც სისტემის ცალკეული დარგის, ქვედარგისა თუ დარგთაშორისი სფეროების უახლეს მეცნიერულ მიღწევათა გააზრებისა და მისი საკვალიფიკაციო მიმართულებით გამოყენების შესაძლებლობა;</p> <p>აქვს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა არა იზოლირებულად, არამედ კავკასიის რეგიონთან, მახლობელ აღმოსავლეთთან და იმ ცივილიზაციებთან მიმართებაში, რომლებთანაც ისტორიულად იყვნენ დაკავშირებულნი; მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ნაციონალური, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; შეეძლება როგორც სასწავლო, ისე კვლევითი პროცესების დაგეგმვა და განხორციელება.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია სამომავლო პროექტების განვითარება, რათა უზრუნველყოს ისტორიაში კვლევებისა და აკადემიური დისციპლინის მუდმივი განახლება; ისტორიული პრობლემების იდენტიფიცირება, წყაროების გამოყენების ახალი გზების მოძიება, დაკავშირება და შედარება, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, ისტორიის მონაცემების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი.</p>

	<p>დასკვნის უნარი: შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება. პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;</p> <p>კომუნიკაციის უნარი: შეუძლია კომუნიკაცია ნებისმიერ დონეზე როგორც პროფესიულ, ისე ფართო საზოგადოებასთან და შესაბამისი ინფორმაციის გასაგებად მიწოდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის;</p> <p>სწავლის უნარი: შეუძლია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარება სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.</p> <p>ღირებულებები: შეუძლია კვლევის შედეგების სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა და დამკვიდრება; დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და სასწავლო პროცესში ინოვაციური ღირებულებების შეტანა და დანერგვა.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი პროფესორი შოთა მამულაძე პროფესორი კახაბერ სურგულაძე პროფესორი ემზარ მაკარაძე</p> <p>ტელ: 593-61-78-95; 577 179745. ელ. ფოსტა: otari01@mail.ru. makaradze@hotmail.com</p>